MES 2 23 0000454072

26/04/2023

ბრძანება

"მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ" სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის N303359 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 63-ე მუხლების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერის 2023 წლის 26 აპრილის N454006 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება "მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ" სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის N303359 ბრძანებაში და დამტკიცდეს მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები თანდართული სახით.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
დირექტორი
ბერიკა შუკაკიძე